

## ძველი პრობლემების ახლებურად მოგვარება

ყოველდღიურად ასობით ადამიანს და არაერთ სოციალურ პრობლემას ვხვდებით. ქუჩაში იშვიათად ნახავ შეზღუდული შესაძლებლობის მქონდე პირს, რომელსაც დილით სამსახურში მიეჩქარება ან საღამოს ეტლით სასეირნოდ არის გამოსული. არა იმიტომ რომ მათ ამის სურვილი არ გააჩნიათ, უბრალოდ არა აქვთ შესაბამისი პირობები და ინფრასტრუქტურა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონდე პირთა, მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისა თუ პრობაციონერების საზოგადოებაში ინტეგრაციის აუცილებლობაზე ბევრი თქმულა პრესის, სახელმწიფო მოხელეებისა და საზოგადო მოღვაწეების მხრიდან. თუმცა, მათ, რეალურად, მხოლოდ სიტყვიერი თანაგრძნობა, ან წელიწადში ერთხელ - საახალწლოდ საჩუქრებით ხელდამშვენებული მონახულება კი არა, საზოგადოებაში კუთვნილი ადგილისა და თანაბარი უფლებების დამკვიდრება სჭირდებათ.

რამდენად არის მზად სახელმწიფო სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? ან რას სთავაზობენ მათ ქველმოქმედების მოყვარული ადამიანები, თუ ორგანიზაციები. ალბათ, ძირითადად საკუთარი პრობლემების უფრო ძლიერად განცდას და ერთჯერად დახმარებას. მოლოდინს - შემდეგ ქველმოქმედებამდე. მაგრამ იქნებ, უფრო მნიშვნელოვანია ამ ადამიანებს თვითდამკვიდრების შესაძლებლობა მივცეთ?!

მსოფლიოში ამის ერთ-ერთ საუკეთესო გზად სოციალური მეწარმეობა ითვლება.

### რა არის სოციალური საწარმო?

სოციალური საწარმო არის ორგანიზაცია, რომელიც ბიზნესის მიდგომებს საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად იყენებს. მას აქვს ორმაგი მიზანი: ეკონომიკური (მოგებაზე ორიენტირებული) და სოციალური. მსგავსი საწარმოს დაარსება ნებისმიერ მსურველს შეუძლია და მისი მასშტაბი შეიძლება მერყეობდეს სოფლის, თემის მაღაზიიდან - დიდ სამშენებლო ფირმამდე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სოციალური მეწარმე საკუთარ ბიზნესს და მოგების დიდ ნაწილს საზოგადოებაში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად იყენებს. ამ მიმართულების განვითარება მომგებიანია როგორც საზოგადოების, ასევე კერძო სექტორისა და სახელმწიფოსთვის. კერძოდ, სახელმწიფო ორმაგ სარგებელს ნახულობს. ერთის მხრივ, სოციალური ბიზნესი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, ხელისუფლებას ეხმარება იმ პრობლემების მოგვარებაში, რომელსაც თავად ვერ ახერხებს. იგივე, ამ გზით შესაძლებელია იმ ადამიანების დასაქმება, რომლებსაც არსებულ პირობებში სამსახურის შოვნა განსაკუთრებით უჭირთ.

საქართველოში სოციალური საწარმოს პროექტების განხორციელებით, მეტწილად, საზოგადოებრივი სექტორი და ის ადამიანები არიან დაინტერესებული, რომლებსაც

არსებული სოციალური პრობლემები აწუხებთ. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი საწარმოა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონდე მეწარმეთა დასაქმების კავშირი“, სადაცP 12 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დასაქმდა. ისინი ქალის, მამაკაცის და ბავშვის ფეხსაცმელს ამზადებენ. ბიზნესი წარმატებული აღმოჩნდა ([www.geoshoes.ge](http://www.geoshoes.ge)). იგივე იდეას ემსახურება კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“. მათ საწარმოში სამუშაოდ ყოველდღიურად ეტლით მოსარგებლე 22 ახალგაზრდა მიდის, რომლებიც სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის "ყველგან მავალ" ეტლებს ამზადებენ.

სოციალური საწარმოს იდეა საქართველოში ჯერჯერობით ფართო მასშტაბში გავრცელებული არ არის. ამ მხრივ საუკეთესო გამოცდილება აქვთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთს. 2009 წლიდან ბრიტანეთის საბჭომ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, ერთობლივად დაიწყეს იდეის პოპულარიზაცია საქართველოშიც. პროექტის ფარგლებში, უცხოელი ექსპერტების დახმარებით დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის ჩატარდა ტრენინგები. დაფინანსდა ყველაზე წარმატებული პროექტები. უკვე ამოქმედდა 6 სოციალური საწარმო.

სოციალური წარმოების წახალისებისა და განვითარების მიზნით, პროექტის ავტორები დღეს მასშტაბურ ღონისძიებას თბილისის "ივენთ ჰოლში" მართავენ. დღის 12 საათიდან მოეწყობა სოციალურ მეწარმეთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, ორგანიზაციების წლიური ანგარიშის პრეზენტაცია და ჟურნალისტების დაჯილდოება. ამ ბიზნესით დაინტერესებული ნებისმიერი პირი დეტალური ინფორმაციის მიღებას ადგილზე - უშუალო მონაწილეებისგან შეძლებს.

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი

ჟურნალისტი სოფო ჯიაძე.